უეჭველად, ყოველი თქვენგანისთვის, როდესაც ის მოკვდება, დილასა და საღამოს უჩვენებენ მის ადგილს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით ორივეთი კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «უეჭველად, ყოველი თქვენგანისთვის, როდესაც ის მოკვდება, დილასა და საღამოს უჩვენებენ მის ადგილს: თუ ის სამოთხის ბინადართაგანაა, მას უჩვენებენ მის ადგილს სამოთხეში, ხოლო თუ ჯოჯოხეთის ბინადართაგანაა, მას უჩვენებენ მის ადგილს ჯოჯოხეთში. და მას ეუბნებიან: “ეს არის შენი ადგილი, სანამ ალლაჰი არ აღგადგენს აღდგომის დღეს”».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მშვიდობა მისცეს მას) გვამცნობს. რომ სიკვდილის შემდეგ მონას უჩვენებენ მის სამყოფელს და მისთვის განკუთვნილ ადგილს — ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში — დღის დასაწყისში და დღის ბოლოს: თუ ის სამოთხის ბინადართაგანაა, მას უჩვენებენ მის ადგილს სამოთხეში, ხოლო თუ ის ჯოჯოხეთის ბინადართაგანაა, მას უჩვენებენ მის ადგილს ჯოჯოხეთში. და მას ეუბნებიან: ეს არის შენი ადგილი სადაც წარიგზავნები განკითხვის დღეს; ამის მიხედვით ან წყალობაში იქნება მორწმუნე, და სასჯელში იქნება ურწუმო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/11210

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee